ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

იუბილე

ნიკო ჯავახიშვილი
ასოცირებული პროფესორი, თსუ/
აკადემიკოსი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი

ნოდარ შოშიაშვილის გახსენება

2024 წლის 10 ივნისს შესრულდა 100 წელი დიდი ქართველი ისტორიკოსის და წყაროთმცოდნის, პროფესორ ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის (1924-1999) დაბადებიდან.

ჩემს საპატიო მოვალეობად მიმაჩნია, რომ როგორც მისმა ყოფილმა სტუდენტმა, საკადრისი პატივისცემით გავიხსენო ეს სამაგალითო მეცნიერი, პედაგოგი, პიროვნება და მოქალაქე, რომელმაც თაობები აღზარდა.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტობამ ძირითადად იმ პერიოდში მომიწია, როდესაც საქართველოში ანარქია და ომი მძვინვარებდა... ავტომატის ტყვიები ავისმომასწავებლად ზუზუნებდნენ... არც ქუჩაში გასულმა ადამიანებმა და არც სახლში დარჩენილმა მათი ოჯახის წევრებმა არ იცოდნენ, დაბრუნდებოდნენ თუ არა უკან ცოცხალნი და უვნებელნი...

ამის მიუხედავად, ყოველდღე მოუთმენლად ველოდი გათენებას, რათა წავსულიყავი უნივერსიტეტში და დავსწრებოდი იმ ლექციებს, რომლებსაც გამოჩენილი ქართველი მეცნიერები და პედაგოგები მიკითხავდნენ. მათ შორის იყვნენ: გიორგი მელიქიშვილი, გივი ჟორდანია, ოთარ ჯაფარიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილი, გივი ჯამბურია, უშანგი სიდამონიძე, ნოდარ ასათიანი, ვალერიან მაჭარაძე, შოთა ბადრიძე, გია ავალიშვილი, გურამ გრიგოლია, ვახტანგ ჯანჯღავა, გურამ კუტალია, კარლო შარია, რევაზ გრძელიძე, რევაზ ქებულაძე, გოგი დემეტრაძე, გულივერ იობაშვილი, გივი ბოლოთაშვილი, გიორგი ოთხმეზური და სხვები, რომლებიც, სამწუხაროდ, უკვე მარადისობაში გარდა-

სულან. უფალმა გაანათლოს მათი სულები... თითოეულ მათგანზე ხანგრძლივად და გულწრფელი პატივისცემით შემიძლია ვისაუბრო...

ამჯერად მსურს გამორჩეული მოკრძალებით გავიხსენო ჩემი ძვირფასი მასწავლებელი ნოდარ შოშიაშვილი, რომელსაც სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად, ყველა „ნუკრის“ ეძახდა. ის გახლდათ ჭეშმარიტად დიდი ისტორიკოსი-წყაროთმცოდნე, არა მხოლოდ თავისი პროფესიით, არამედ სულიერი მოწოდებითაც. მახსოვს მისი სანიმუშო ლექციები, რომელთა დროს, იგი ღრმად გვახედებდა საქართველოს წარსულში და გვიზიარებდა თავის მიერ მიკვლეულ სიახლეებსაც, რომელიც ჯერაც არ ჰქონდა გამოქვეყნებული. მისი ავტორიტეტი იმდენად მაღალი და უდავო იყო, რომ როდესაც სამეცნიერო კონფერენციების დროს წამოიჭრებოდა დავა საქართველოს ისტორიის რომელიმე საკითხზე, ყოველთვის ის პოზიცია იმარჯვებდა, რომელსაც მხარს ბატონი ნუკრი დაუჭერდა. შემთხვევითი არც ის გახლდათ, რომ მას კოლეგები „ქართლის ცხოვრების მესაიდუმლეს“ ეძახდნენ. საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, რომელიც ასევე სანიმუშო პედაგოგი იყო, ჩვენთან ლექციის კითხვისას, ხშირად იმოწმებდა ბატონი ნუკრის მაღალაკადემიურ სამეცნიერო გამოკვლევებს.

საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ ბატონი ნუკრი უაღრესად ობიექტური გამომცდელი გახლდათ და მასთან ვერავინ ვერაფერს „ჩააწყობდა“. თუმცა, გამონაკლის შემთხვევაში, თვითონვე იჩენდა გულმოწყალებას. მახსენდება ერთი ასეთი ფაქტი: 1993 წლის დასაწყისი იყო. აფხაზეთში მიმდინარეობდა ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის. ფრონტიდან დროებით ჩამოვიდა ფეხში მსუბუქად დაჭრილი ჩემი კურსელი ნუგზარ ჭუჭულაშვილი, რომელიც ავღანეთის ომის ვეტერანი იყო და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე, ქართული არმიის რიგებში ჩადგა. ნუგზარი სწორედ მაშინ შემოვიდა უნივერსიტეტში, როდესაც ბატონი ნუკრი გამოცდას გვიტარებდა. ნუგზარმა ღიმილით მითხრა: „მართალია, მოუმზადებელი ვარ, თუმცა, ბედს მაინც ვცდი. ბედი კი, როგორც შენც იცი, მწყალობს, თორემ ავღანეთის ომში ორწლიან ბრძოლას ხომ ცოცხალი ვერ გადავურჩებოდი“... ერთად შევედით.

ლექტორმა ნუგზარი გამოსცადა, თუმცა მისი პასუხი არ მოეწონა და არადამაკმაყოფილებელი დაუწერა. ნუგზარიც უხმოდ ადგა და დარცხვენილი, კოჭლობით გავიდა ოთახიდან. ბატონმა ნუკრიმ ფიქრიანი მზერა გააყოლა და შემეკითხა:

– „ეს რა დამართნია ამ ჭაბუკს?“

მეც ვუპასუხე:

– „აფხაზეთში ბრძოლისას დაიჭრა და ახლა სამკურნალოდ თბილისში იმყოფება“.

მაშინვე მთხოვა, რომ კურსელი შემომებრუნებინა. მეც შემოვიყვანე. ბატონმა ნუკრიმ ნუგზარი გვერდით მოისვა და ომთან დაკავშირებით რამდენიმე შეკითხვა დაუსვა. ბოლოს, თბილი ინტონაციით უთხრა:

– „შვილო, თქვენ ოღონდ დაიცავით სამშობლო და მე ნიშანს როგორ დაგამადლებ? რატომ თავიდანვე არ მითხარი, რომ იბრძოდი?“ ამ სიტყვებთან ერთად, მან თავისი კალმით ნუგზარის ჩათვლის წიგნაკში რაღაც მოხაზა.

ჩემი გამოკითხვის შემდეგ გარეთ გამოსული, მაშინვე მივედი კურსელებით გარშემორტყმულ, უზომოდ გახარებულ ნუგზართან და ვეკითხები:

– „ბოლოს რა დაგიწერა?“ ნუგზარმაც უხმოდ გამომიწოდა ჩათვლის წიგნაკი, სადაც ბატონ ნუკრის უზარმაზარი 5-იანი დაეწერა. ეს სამუდამოდ დაგვამახსოვრდა ნუგზარის მეგობრებს, როგორც კეთილშობილებისა და პატრიოტიზმის მორიგი, საოცარი გამოვლინება დიდი მეცნიერის მხრიდან... სამწუხაროდ, ნუგზარი ომიდან ცოცხალი არ დაბრუნებულა. ის გმირულად დაიღუპა 27 სექტემბერს, სოხუმში, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობის დაცვისას. უფალმა გაანათლოს მისი სული...

1995 წელს, ისტორიის ფაკულტეტის დამამთავრებელ, V კურსზე სწავლისას (მაშინ სწავლა ხუთწლიანი გახლდათ) ვმუშაობდი სადიპლომო ნაშრომზე სახელწოდებით: „ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა)“, რომელიც იმავე წლის ივნისში წარმატებით დავიცავი. საჯარო დაცვაზე ბატონმა ნუკრიმ მირჩია, რომ წიგნად დამესტამბა ეს ნაშრომი, რომელიც გამოსაცემად უკვე მომზადებული მქონდა. მე მას შევთავაზე, რომ ყოფილიყო ჩემი წიგნის რეცენზენტი, რაზედაც სიამოვნებით დამთანხმდა. 21 ივლისს სტამბიდან გამოვიტანე ჩემი წიგნის სასიგნალო ეგზემპლარები და მათგან უპირველესი ბატონ ნუკრის ვაჩუქე. გახარებული გადამეხვია და მითხრა:

– „ჩემო ნიკო, გულითადად გილოცავ პირველი წიგნის გამოცემას! ბედნიერებაა, რომ 22 წლის ასაკში უკვე ასეთი მნიშვნელოვანი მონოგრაფიის ავტორი ხარ. ასე განაგრძე მომავალშიც და გაგვახარე“...

ასეთი გულიანი შექება-დალოცვით ფრთაშესხმულმა, მეც გაათმაგებული ენერგიით განვაგრძე სამეცნიერო კვლევა-ძიება და უკვე მომ-

დევნო წლის გაზაფხულზე წიგნად გამოიცა ჩემი მეორე მონოგრაფია, სახელწოდებით: „ქართული ბონისტიკა (ქაღალდის საფასთმცოდნეობა)“. ამ ორივე მონოგრაფიის რეცენზენტი გახლდათ პროფესორი ნუკრი შოშიაშვილი, რომლის ფრიად საყურადღებო რჩევები მაქსიმალურად გავითვალისწინე.

1997 წლის 2 ივნისს, თბილისის უნივერსიტეტში დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია, რომლის დროსაც ბატონმა ნუკრიმ ჩემი მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა. ახლაც ყურში ჩამესმის მისთვის დამახასიათებელი, მადლიანი ქართულით საჯაროდ წარმოთქმული, უაღრესად გულთბილი შეფასება: „მეცნიერთა შორის მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, რომ გახდეს ამა თუ იმ სამეცნიერო დარგის ფუძემდებელი. ასეთ რჩეულთა რიცხვს განეკუთვნება ნიკო ჯავახიშვილი, რომელმაც 24 წლის ასაკში წიგნად გამოსცა თავისი ორი ფუძემდებლური ნაშრომი და იმედია, რომ დღეს ღირსეულად მოიპოვებს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხსაც. ვუსურვებ მას შემდგომ წარმატებებს!“...

მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის თანამშრომელი გავხდი, ბატონ ნუკრის კიდევ უფრო დავუახლოვდი. არაერთხელ ვყოფილვარ მის ბინაში, რომელიც იპოდრომის მახლობლად, მიხეილ თამარაშვილის ქუჩის № 19-ში მდებარეობდა. როდესაც ვეწვეოდი, ბატონი ნუკრის მეუღლე, არაჩვეულებრივი ქალბატონი ლეილა ფარულავა მაშინვე სუფრას გაშლიდა და ჩვენს შეხვედრას საზეიმო ელფერს შესძენდა-ხოლმე. ამ სტუმართმოყვარე ოჯახში არაერთი ლამაზი საღამო გამიტარებია.

სამწუხაროდ, 1998 წლის მიწურულს, ბატონი ნუკრი შეუძლოდ გახდა. იმხანად მასთან ხშირად დადიოდა მისი ახალგაზრდობის-დროინდელი, ერთგული მეგობარი, პროფესორი გივი ჯამბურია (1924-2012), რომელიც ასევე ჩემი ძვირფასი მასწავლებელი გახლდათ. ერთხელაც, უნივერსიტეტში შეხვედრისას მან გადმომცა ბატონი ნუკრის თხოვნა, რომ მასთან მივსულიყავი.

7 დეკემბერს ვეწვიე ძვირფას მასწავლებელს, რომელიც უკვე მძიმედ დავადებული გახლდათ. ძალიან გამხდარიყო და ფერიც დაკარგვოდა. სცადა წამომდგარიყო, თუმცა უმორჩილესად ვთხოვე, რომ არ შეწუხებულიყო და საწოლზე წამოჯდომაში მივეხმარე. გული მეტკინა, რომ ასეთ ყოფაში ვხედავდი ჩემს საყვარელ მოძღვარს, რომელიც ყოველთვის მხიბლავდა თავისი უსაზღვრო შემოქმედებითი ენერგიითა და სიცოცხლისუნარიანობით. მცირეოდენ ხანს ვისაუბრეთ და მალევე გამოვემშვიდობე, რომ არ შემეწუხებინა. შეხვედრის დასასრულს მასპინძელმა გად-

მომცა „ქართლის ცხოვრება", წიგნი II (თბილისი, 1998), რომელსაც თავფურცელზე ეწერა: „ტექსტის ადაპტაცია, ბოლოთქმა და განმარტებები ეკუთვნით მანანა სანაძეს და ნოდარ შოშიაშვილს". ამ წიგნის ყდაზე მან თავისი მომხიბლავი კალიგრაფიით შემდეგი სამახსოვრო წარწერა გააკეთა: „ჩემს უმცროს, საყვარელ მეგობარს, საამაყო ყმაწვილს, ძვირფას ნიკო ჯავახიშვილს, მისი წარმატებებით მოხარული ნუკრი შოშიაშვილი. 7. XII. 98." წამოვედი გულდამძიმებული, თუმცა ამაყი მისი ასეთი შთამბეჭდავი ავტოგრაფით. ის ხომ ტყუილ-უბრალოდ არავის შეაქებდა. უძვირფასეს რელიქვიად ქცეული ეს წიგნი, მას შემდეგ, ჩემს პირად ბიბლიოთეკაში საგანგებოდ გამოყოფილ ავტოგრაფიანი წიგნების თაროს ამშვენებს...

სამწუხაროდ, ეს შეხვედრა ჩემს საამაყო მოძღვართან უკანასკნელი აღმოჩნდა. 1999 წლის 2 იანვარს იგი 74 წლის ასაკში გარდაიცვალა... საქართველომ და მისმა უპირველესმა უმაღლესმა სასწავლებელმა დაკარგეს დიდ ქართველ ისტორიკოსთა ბრწყინვალე პლეადის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ხოლო მისმა აღზრდილებმა – მომავალ თაობებზე მზრუნველი პედაგოგი და კეთილმოსურნე, სამაგალითო უფროსი მეგობარი...

უფალმა ნათელში ამყოფოს შესანიშნავი მეცნიერისა და პიროვნების, ჩემი დაუვიწყარი მასწავლებლის, პროფესორ ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის სპეტაკი სული და უდღეგრძელოს შთამომავლობა...



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით.

ნოდარ თევდორეს ძე შოშიაშვილი

ქართული წარნერების კორპუსი
ლაპიდარული წარწერები
ტ. I.

სპეციალობა (07.00.02.) – საქართველოს ისტორიის
წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია.

ავტორეფერატი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად.

ჩემს უფროს
ბიძაშვილს
ნიკო ჯავახიშვილს
სიყვარულით
5.IX.98

თბილისი
1998.



ჩემს უფროს სიყვარულ
ბიძაშვილს.
საამაყო უმაწვილს
ძვირფას
ნიკო ჯავახიშვილს
მისი წახალისებისთვის
მოხარული
ნუკრი შოშიაშვილი.
17.XII.98.

ქართლის ცხოვრება

წიგნი II

ტექსტის ადაპტაცია,
ბოლოთქმა და განმარტებები
ეკუთვნით:
მანანა სანაძეს
ნოდარ შოშიაშვილს

რედაქტორი აკად. **რონინ მეტრეველი**

გამომცემლობა „ნეკერი“
1998

პროფესორ ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის ავტოგრაფები მის მიერ ნიკო ჯავახიშვილისათვის ნაჩუქარ სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატზე (1998 წლის 5 სექტემბერი) და მისი რედაქციით გამოცემულ წიგნზე „ქართლის ცხოვრება“ (1998 წლის 7 დეკემბერი).